“უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნა”

უმაღლესი განათლების მინისტრების კონფერენციის კომუნიკე

ბერლინი, 2003 წ. 19 სექტემბერი

პრეამბულა

1999 წლის 19 ივნისს, სორბონის დეკლარაციის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ, ევროპის 29 ქვეყნის უმაღლესი განათლების მინისტრმა ხელი მოაწერა ბოლონიის დეკლარაციას. მინისტრები შეთანხმდნენ მნიშვნელოვან ერთობლივ ამოცანებზე 2010 წლისათვის ერთიანი უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის (EHEA) ჩამოსაყალიბებისათვის. შედეგების შემსწავლელ პირველ კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა პრაღაში, 2001 წლის 19 მაისს, მათ გაზარდეს დასახულ მიზანთა რაოდენობა და კვლავ დაადასტურეს ნაკისრი ვალდებულება შექმნან უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე 2010 წლისათვის. 2003 წლის 19 სექტემბერს ევროპის 33 ქვეყნის უმაღლესი განათლების მინისტრი შეიკრიბა ბერლინში, რათა განეხილათ მიღწეული წარმატებები და დაესახათ პრიორიტეტები და ახალი მიზნები შემდგომი წლებისათვის უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნის დაჩქარების მიზნით. ისინი შეთანხმდნენ შემდეგ მოსაზრებებზე, პრინციპებსა და პრიორიტეტებზე:

მინისტრები კიდევ ერთხელ ადასტურებენ ბოლონიის პროცესის სოციალური განზომილების მნიშვნელობას. კონკურენტუნარიანობის გაზრდის საჭიროება გაწონასწორებული უნდა იქნეს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის სოციალურ მახასიათებელთა გაუმჯობესებით, რომლის მიზანია სოციალური თანადგომის გაძლიერება და სოციალურ და გენდერულ უთანასწორობათა შემცირება, ნაციონალურ თუ ევროპულ დონეზე. ამ კონტექსტში მინისტრები ადასტურებენ თავიანთ პოზიციას, რომ უმაღლესი განათლება არის საზოგადოებრივი დოვლათი და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ობიექტი. ისინი ხაზს უსვამენ საერთაშორისო აკადემიურ თანამშრომლობას და სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლაში უპირატესობას აკადემიურ ღირებულებებს ანიჭებენ.

მინისტრები ჯეროვან ყურადღებას მიაპყრობენ ლისაბონსა (2000 წ.) და ბარსელონაში (2002 წ.) გაკეთებულ ევროსაბჭოს დასკვნებს, რაც მიზნად ისახავს ევროპაში შეიქმნას "მსოფლიოში ყველაზე კონკურენტუნარიან და დინამიურ, ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა, რომელსაც ექნება სტაბილური ეკონომიკური ზრდის უნარი – სულ უფრო მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილებითა და უფრო მტკიცე სოციალური თანადგომით", რაც მოითხოვს შემდგომ ნაბიჯებსა და უფრო მჭიდრო თანამშრომლობას ბოლონიის პროცესის კონტექსტში.

მინისტრები მხედველობაში იღებენ პრაღისა და ბერლინის შეხვედრებს შორის ბოლონიის პროცესის განვითარების თაობაზე სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებულ ანგარიშს. ისინი ასევე ითვალისწინებენ ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) მიერ მომზადებულ ანგარიშს – „ტენდენციები III“. ისევე როგორც რამდენიმე წევრი სახელმწიფოსა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და სტუდენტების მიერ მოწყობილი სემინარების შედეგებს; ეს სემინარები პრაღისა და ბერლინის შეხვედრებს შორის სამუშაო პროგრამის ნაწილია. გარდა ამისა მინისტრები აღნიშნავენ ეროვნული ანგარიშების მნიშვნელობას, როგორც ბოლონიის პროცესის

პრინციპების გამოყენებით მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესის თვალსაჩინო მაგალითს. და ბოლოს, ისინი მხედველობაში იღებენ ევროკომისიისა და ევროსაბჭოს რეკომენდაციებს და ადასტურებენ თავიანთ მხარდაჭერას პროცესის სისრულეში მოსაყვანად.

მინისტრები თანხმდებიან, რომ მიღებული უნდა იქნეს ზომები, რათა თავიანთ ქვეყნებში უზრუნველყონ მჭიდრო კავშირები უმაღლეს განათლებასა და მეცნიერულ კვლევებს შორის. ჩამოყალიბების პროცესში მყოფი უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე დიდ სარგებელს მიიღებს კვლევის ევროპულ სივრცესთან (ERA) ნაყოფიერი თანამშრომლობით, ამგვარად გაძლიერდება „ცოდნის ევროპის“ საფუძველი; საბოლოო მიზანი ევროპის კულტურული სიმდიდრისა და ენობრივი ნაირფეროვნების დაცვაა, რაც მისი მრავალფეროვანი ტრადიციების მემკვიდრეობაზეა დაფუძნებული და, ასევე, ევროპის ინოვაციური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოტენციალის ხელშეწყობაა, ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა შორის მზარდი თანამშრომლობის მეშვეობით.

მინისტრები ცნობენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სტუდენტური ორგანიზაციების განმსაზღვრელ როლს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის განვითარებაში. ისინი მხედველობაში იღებენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ გრაცის კონვენციიდან გამომდინარე ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის რეკომენდაციებს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ევროპული ასოციაციის (EURASHE) წვლილს და ევროპაში სტუდენტების ეროვნული კავშირების (ESIB) საქმიანობას.

მინისტრები მიესალმებიან მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონების მიერ გამოხატულ ინტერესს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის განვითარებისადმი და, როგორც ამ კონფერენციაზე დამსწრე სტუმრებს, ისინი განსაკუთრებით მიესალმებიან წარმომადგენლებს ევროპის იმ ქვეყნებიდან, რომლებიც ჯერ არ არიან ჩართული ბოლონიის პროცესში, ასევე ევროკავშირის, ლათინური ამერიკისა და კარიბის კუნძულების (EULAC) უმაღლესი განათლების საერთო სივრცის შედეგების შემსწავლელი კომიტეტის წარმომადგენლებს.

პროგრესი

მინისტრები მიესალმებიან პრაღის უმაღლესი განათლების სამიტის შემდგომ პერიოდში განხორციელებულ ინიციატივებს, მიმართულს იოლად შესადარი და თავსებადი სისტემების გაუმჯობესებისაკენ, უმაღლესი განათლების სისტემის გამჭვირვალობისა და ევროპული უმაღლესი განათლების ხარისხის დახვეწისაკენ სვლას ინსტიტუციონალურ და ეროვნულ დონეზე. მინისტრები მაღალ შეფასებას აძლევენ ყველა პარტნიორის — უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირების — მიერ აღებულ პასუხისმგებლობასა და მათ თანამშრომლობას ამ მიმართულებით.

მინისტრები ყურადღებას ამახვილებენ ბოლონიის პროცესის ყველა დეტალის მნიშვნელობაზე უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ჩამოყალიბებისათვის და ხაზს უსვამენ ინსტიტუციონალურ, ეროვნულ და ევროპულ დონეზე საქმიანობის გააქტიურების საჭიროებას. პროცესისათვის შემდგომი იმპულსის მისაცემად მინისტრები მომავალი ორი წლისათვის ვალდებულებად იღებენ შუალედურ პრიორიტეტებს. ისინი გააძლიერებენ ძალისხმევას ხარისხის

უზრუნველყოფის ეფექტური სისტემის მხარდასაჭერად, ორსაფეხურიანი სისტემის ეფექტური გამოყენების გასაფართოებლად და აკადემიური ხარისხებისა და სწავლების ხანგრძლივობის აღიარების სისტემის გასაუმჯობესებლად.

ხარისხის უზრუნველყოფა

აღიარებულია, რომ უმაღლესი განათლების ხარისხს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის განვითარებაში უმთავრესი ადგილი უკავია. მინისტრები ვალდებულებას იღებენ ხელი შეუწყონ ხარისხის უზრუნველყოფის განვითარებას ინსტიტუციონალურ, ეროვნულ და ევროპულ დონეზე. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ ხარისხის უზრუნველყოფის საკითხში ერთობლივად მიღებული კრიტერიუმებისა და მეთოდოლოგიების საჭიროებას.

მინისტრები მიიჩნევენ, რომ ინსტიტუციური ავტონომიურობის პრინციპებთან შესაბამისად უმაღლესი განათლების სისტემაში, მთავარი პასუხისმგებლობა ხარისხის უზრუნველყოფაზე თვით საგანმანათლებლო დაწესებულებებს ეკისრება. ეს ხელს შეუწყობს ხარისხის ეროვნულ სისტემაში აკადემიური სისტემის რეალური ანგარიშვალდებულებისათვის საფუძველის შექმნას.

მინისტრები შეთანხმდნენ, რომ 2005 წლისათვის ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულ სისტემაში შევა:

- პროცესში ჩართული ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების პასუხისმგებ-ლობის განსაზღვრა.

- პროგრამებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების შიდა და გარე შეფასება, სტუდენტების მონაწილეობა და შედეგების გამოქვეყნება.

- აკრედიტაციის, სერტიფიკაციის ან სხვა შესაბამისი პროცედურების სისტემა.

- საერთაშორისო მონაწილეობა, თანამშრომლობა და საერთო საგანმანათლებლო ქსელის შექმნა.

ევროპულ დონეზე მინისტრები მოუწოდებენ ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის (ENQA) წევრებს, ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციასთან (EUA), უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ევროპულ ასოციაციას-თან (EURASHE) და ევროპის სტუდენტების ეროვნულ კავშირებთან (ESIB) თანამშრომლობით, განავითარონ ხარისხის უზრუნველყოფის შეთანხმებული სტანდარტები, პროცედურები და ინსტრუქციები, შეისწავლონ ხარისხის უზრუნველყოფის და/ან აკრედიტაციის სააგენტოების, ან ორგანოებისათვის ადეკვატური სისტემების უზრუნველყოფის გზები და 2005 წლისათვის სამუშაო ჯგუფის მეშვეობით ჩააბარონ მინისტრებს ანგარიში. შესაბამისი ანგარიში გაეწევა ხარისხის უზრუნველყოფის სხვა ასოციაციებისა და საგანმანათლებლო ქსელების გამოცდილებას.

აკადემიური ხარისხის სტრუქტურა:
ორ მთავარ საფეხურზე დაფუძნებული სისტემის შემოღება

მინისტრები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ისინი ბოლონიის დეკლარაციით დაკისრებული ვალდებულებების შესაბამისად ახორციელებენ სწავლების

ორსაფეხურიან სისტემაზე გადასვლას, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის საყოველთაო რესტრუქტურიზაციას. ყველა მინისტრი იღებს ვალდებულებას, რომ 2005 წლისათვის ორსაფეხურიანი სისტემის დანერგვა დასრულდება.

მინისტრები ხაზს უსვამენ მიღწეული შედეგების განმტკიცების მნიშვნელობას, ახალი კვალიფიკაციების შეთანხმებისა და მიღების გაუმჯობესებას საგანმანათლებლო დაწესებულებებში – ამ დაწესებულებებსა და დამქირავებლებს შორის მოლაპარაკებების მეშვეობით.

მინისტრები წევრ ქვეყნებს მოუწოდებენ თავიანთი უმაღლესი განათლების სისტემებისათვის შექმნან იოლად შესადარი და თავსებადი კვალიფიკაციების სტრუქტურა, რომელიც მიზნად ისახავს აღწეროს კვალიფიკაციები სამუშაოს მოცულობის, დონის, სწავლის შედეგების, კომპეტენციების და პროფილის საშუალებით. ისინი, ასევე შეიმუშავებენ კვალიფიკაციების ყოვლისმომცველ სტრუქტურას უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისათვის.

ასეთი სტრუქტურის ფარგლებში აკადემიურ ხარისხებს ექნებათ სხვადასხვანაირად განსაზღვრული შედეგები. პირველი და მეორე საფეხურის აკადემიურმა ხარისხებმა უნდა დააკმაყოფილონ ნებისმიერი — ინდივიდუალური, აკადემიური და შრომის ბაზრის, მოთხოვნები. პირველი აკადემიური ხარისხის მიღების შემდეგ, ლისაბონის კონვენციის შესაბამისად, სტუდენტს უნდა ჰქონდეს უფლება მონაწილეობა მიიღოს მეორე საფეხურის პროგრამაში. მეორე საფეხურის აკადემიური ხარისხი დოქტორანტურაში სწავლის საშუალებას იძლევა.

მინისტრები იწვევენ სამუშაო ჯგუფს, რათა გამოარკვიონ, თუ როგორ შეიძლება შემოკლებული უმაღლესი განათლების დაკავშირება კვალიფიკაციების სტრუქტურის პირველი საფეხურის აკადემიურ ხარისხთან.

მინისტრები ყურადღებას ამახვილებენ თავიანთ ვალდებულებებზე, რადგან უმაღლესი განათლება გახადონ ყველასათვის ხელმისაწვდომი, ყველა შესაძლო საშუალებებით.

მობილობის ხელშეწყობა

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნის საფუძველი სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობაა. მინისტრები აღნიშნავენ, რომ მობილობა მნიშვნელოვანია, როგორც აკადემიური და კულტურული, ასევე პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სფეროებისათვის. მინისტრები კმაყოფილებით შენიშნავენ, რომ მათი ბოლო შეხვედრის შემდეგ გააქტიურდა და გაიზარდა მობილობა ევროკავშირის პროგრამების წყალობით. ისინი შეთანხმდნენ, რომ გადადგმული იქნება ნაბიჯები სტუდენტთა მობილობის სტატისტიკური მონაცემების ხარისხისა და სისრულის გასაუმჯობესებლად.

განათლების მინისტრები ადასტურებენ თავიანთ განზრახვას გამოიყენონ მაქსიმალური ძალისხმევა იმ დაბრკოლებათა გადასალახავად, რომლებიც აფერხებენ მობილობას უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში. სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობის მიზნით მინისტრები გადადგამენ აუცილებელ ნაბიჯებს, რათა სტუდენტმა შეძლონ ეროვნული გრანტებისა და სესხების გამოყენება

კრედიტების სისტემის ჩამოყალიბება:

მინისტრები აღნიშნავენ ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) მნიშვნელოვან როლს სტუდენტთა მობილობის გაუმჯობესებასა და საერთაშორისო კურიკულუმების განვითარების საქმეში. ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემა ხდება ეროვნული კრედიტების სისტემის საფუძველი. მინისტრები მხარს უჭერენ ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შემდგომ განვითარებას იმ მიზნით, რომ იგი გახდება არა მხოლოდ ტრანსფერის, არამედ კრედიტების დაგროვების სისტემაც და სისტემატიურად იქნება გამოყენებული ჩამოყალიბების პროცესში მყოფი უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის განვითარებასთან ერთად.

აკადემიური ხარისხების აღიარება: იოლად გასაგები და შესადარი ხარისხების სისტემის შემოღება

მინისტრები ხაზს უსვამენ ლისაბონის კონვენციის მნიშვნელობას, რომელიც ბოლონიის პროცესში მონაწილე ყველა ქვეყნის მიერ უნდა იქნეს რატიფიცირებული, და მოუწოდებენ საინფორმაციო ცენტრების ევროპულ ქსელს (ENIC) და აკადემიური აღიარების ეროვნულ საინფორმაციო ცენტრებს (NARIC) კომპეტენტურ ეროვნულ ხელისუფლებებთან ერთად ხელი შეუწყონ კონვენციის შემდგომ დანერგვას.

მათ დაისახეს მიზნად, რომ 2005 წლიდან ყოველმა კურსდამთავრებულმა ავტომატურად და, ამავე დროს, უფასოდ მიიღოს დიპლომის დანართი. დიპლომის დანართი უნდა შეიქმნას და გაიცეს საერთაშორისო ენაზე.

მინისტრები მიმართავენ დაწესებულებებსა და დამქირავებლებს გამოიყენონ დიპლომის დანართი ანუ ისარგებლონ აკადემიური ხარისხების სისტემების გაუმჯობესებული გამჭვირვალობითა და მოქნილობით, ამით კი ხელი შეუწყონ დასაქმების შესაძლებლობების ზრდასა და შემდგომი სწავლისათვის აკადემიური აღიარების გაიოლებას.

უმაღლესი განათლების დაწესებულებები და სტუდენტები

მინისტრები მიესალმებიან ბოლონიის პროცესში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სტუდენტების მონაწილეობის მზაობას და აღიარებენ, რომ ამ პროცესში ყველა პარტნიორის აქტიური მონაწილეობა განაპირობებს მის გრძელვადიან წარმატებას.

აცნობიერებენ რა იმ წვლილს, რომლის შეტანაც შეუძლიათ ძლიერ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ეკომომიკურ და სოციალურ განვითრებაში, მინისტრები აღიარებენ, რომ დაწესებულებებს უნდა მიეცეთ უფლება დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება შიდა ორგანიზაციულ და ადმინიტრაციულ საკითხებზე. მინისტრები მოუწოდებენ დაწესებულებებს, რათა უზრუნველყონ რეფორმების სრული ინტეგრაცია დაწესებულებათა ძირითად ფუნქციებსა და პროცესებში.

მინისტრები აღნიშნავენ ბოლონიის პროცესში სტუდენტური ორგანიზაციების კონსტრუქციულ მონაწილეობას და ხაზს უსვამენ სამომავლო ღონისძიებებში სტუდენტების უწყვეტად და ადრეული ეტაპიდან ჩართვის აუცილებლობას.

სტუდენტები უმაღლესი განათლების მართვის სრულუფლებიანი პარტნიორები არიან. მინისტრები აღნიშნავენ, რომ ეროვნული სამართლებრივი ზომები სტუდენტთა მონაწილეობის უზრუნველყოფისათვის ფართოდაა მიღებული უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში. ისინი, ასევე მოუწოდებენ დაწესებულებებსა და სტუდენტთა ორგანიზაციებს გამონახონ სხვადასხვა გზები, რომელთა მეშვეობითაც მოხდება უმაღლესი განათლების მართვაში სტუდენტთა მონაწილეობის გაზრდა.

მინისტრები აქცენტს აკეთებენ სტუდენტებისათვის სწავლისა და ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნის საჭიროებაზე, რათა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად მათ შეძლონ სწავლის წარმატებით დასრულება სათანადო დროში. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ სტუდენტების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ შესადარებელი მონაცემების არსებობის აუცილებლობას.

ევროპული განზომილებები უმაღლეს განათლებაში

მინისტრები აღნიშნავენ, რომ პრაღის მოწოდების შესაბამისად ვითარდება დამატებითი მოდულები, კურსები, ევროპული სტანდარტების მიმართულების შესაბამისი კურიკულუმები და სხვა.

ისინი აღნიშნავენ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ინიციატივა გამოიჩინეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნების უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, რათა გააერთიანონ თავიანთი აკადემიური რესურსები და კულტურული ტრადიციები იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ ინტეგრირებული სასწავლო პროგრამებისა და ერთობლივი აკადემიური ხარისხების განვითარებას პირველ, მეორე და მესამე საფეხურებზე.

გარდა ამისა, ისინი ხაზს უსვამენ საზღვარგარეთ სწავლის შესაბამისი პერიოდის უზრუნველყოფის აუცილებლობას ერთობლივი აკადემიური ხარისხების პროგრამების ფარგლებში, ისევე როგორც შესაბამის დებულებებს ენობრივი მრავალფეროვნებისა და ენის სწავლების შესახებ, რადგან სტუდენტებმა შეძლონ თავიანთი პოტენციალის სრულყოფილი გამოყენება შრომის ბაზარზე და გააცნობიერონ ევროპის მოქალაქეობა.

მინისტრები თანახმანი არიან პასუხისმგებლობა აიღონ და ეროვნულ დონეზე გამორიცხონ ყველა საკანონმდებლო წინააღმდეგობა, რაც ხელს უშლის ასეთი აკადემიური ხარისხების აღიარებასა და დანერგვას; და აქტიურად დაუჭირონ მხარი ერთობლივი აკადემიური ხარისხის მისაღწევად ინტეგრირებული კურიკულუმების განვითარებას და ხარისხის ადეკვატურ უზრუნველყოფას.

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მიმზიდველობა

მინისტრები აღიარებენ, რომ ევროპული უმაღლესი განათლების მიმზიდველობა და გამჭვირვალობა კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს. მათ დაადასტურეს მზადყოფნა მესამე ქვეყნების სტუდენტებისათვის სტიპენდიების პროგრამების შემდგომი განვითარებისათვის.

მინისტრები აცხადებენ, რომ უმაღლესი განათლების სფეროში ტრანსნაციონალური გაცვლები უნდა წარმოებდეს აკადემიური ღირებულებების ბაზაზე და თანახმანი არიან იმუშაონ ამ მიმართულებით ყველა შესაბამის ფორუმზე. ყველა სათანადო ვითარებაში ასეთი ფორუმებიი უნდა ითვალისწი-ნებდნენ სოციალურ და ეკონომიკურ პარტნიორებს.

ისინი მხარს უჭერენ რეგიონებთან თანამშრომლობას მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში ამ რეგიონების წარმომადგენლებისათვის ბოლონიის სემინარებისა და კონფერენციების ჩატარებით.

სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე

მინისტრებმა ხაზი გაუსვეს უმაღლესი განათლების მნიშვნელობას მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის უზრუნველსაყოფად. ისინი ღებულობენ სათანადო ზომებს, რათა შეასწორონ თავიანთი ეროვნული პოლიტიკა აღნიშნული მიზნის რეალიზებისათვის და დაარწმუნონ უმაღლესი განათლების დაწესებულებები და ყველა დაინტერესებული პირი, რომ გაზარდონ შესაძლებლობები, რათა უმაღლესი განათლების დონეზე უზრუნველყოფილი იყოს სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე, წინა განათლების აღიარების ჩათვლით. მათ აღნიშნეს, რომ ამგვარი მოქმედება უნდა იყოს უმაღლესი განათლების შემადგენელი ნაწილი.

გარდა ამისა, მინისტრები მოუწოდებენ მათაც, ვინც მუშაობს კვალიფიკაციების სტრუქტურაზე უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისათვის, შექმნან ფართომასშტაბიანი მოქნილი სწავლების გზები, შესაძლებლობები და ტექნიკური რესურსები და უზრუნველყონ კრედიტების ტრანსფერისა და აკუმულაციის ევროპის სისტემის (ECTS) კრედიტების სათანადო გამოყენება.

ისინი ხაზს უსვამენ, რომ აუცილებელია ყველა მოქალაქისათვის პირობების გაუმჯობესება მათი უნარისა და მისწრაფებების შესაბამისად, რათა მათ შეძლონ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა უმაღლესი განათლების სფეროში.

დამატებითი ღონისძიებები

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე და კვლევის ევროპული სივრცე – ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ორი საყრდენი

აცნობიერებენ რა, უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცესა და კვლევის ევროპულ სივრცეს შორის უფრო ახლო კავშირების ხელშეწყობის აუცილებლობას, და მთელს ევროპაში კვლევების როგორც უმაღლესი განათლების განუყოფელი ნაწილის მნიშვნელობას, მინისტრები საჭიროდ მიიჩნევენ, რომ ბოლონიის პროცესში ამჟამად არსებული უმაღლესი განათლების ორი ძირითადი საფეხურის გარდა მესამე საფეხურად შეიტანონ დოქტორანტურის დონე.

მათ ხაზი გაუსვეს, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევების, კვლევების სწავლების და ინტერდისციპლინურობის ხელშეწყობა უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და ევროპის უმაღლესი განათლების კონკურენტ-უნარიანობის გაზრდისათვის. მინისტრები მიიჩნევენ, რომ უფრო მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდონ დოქტორანტურისა და დოქტორანტურის შემდგომ საფეხურებზე მობილობას და ამ პროცესებში ჩართულ დაწესებულებებს მიუთითებენ დოქტორანტურაში სწავლებისა და ახალგაზრდა მეცნიერების მომზადებში თანამშრომლობისაკენ.

მინისტრები გაატარებენ ყველა აუცილებელ ღონისძიებებს, რადგან ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები გახდეს უფრო მიმზიდველი და ეფექტიანი პარტნიორი. ამიტომაც მინისტრებმა მიმართეს უმაღლეს

საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომ გაზარდონ სამეცნიერო კვლევების როლი ტექნოლოგიური, სოციალური და კულტურული წინსვლისათვის.

მინისტრები აცნობიერებენ, რომ არსებობს წინააღმდეგობები, რომლებიც ამუხრუჭებენ ამ მიზნის მიღწევას და რომ მათი მოგვარება შეუძლებელია მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ. იგი მოითხოვს ძლიერ მხარდაჭერას (ფინანსურის გათვალისწინებით), და ეროვნული მთავრობებისა და ევროპული ორგანოების შესაბამის გადაწყვეტილებებს.

და ბოლოს, მინისტრებმა განაცხადეს, რომ დოქტორანტურის საფეხურზე ხელი უნდა შეეწყოს ქსელების არსებობას, რაც სტიმულს მისცემს უმაღლესი განათლების სრულყოფას და გახდება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ერთ-ერთი მახასიათებელი.

მიმოხილვა

2010 წლისათვის დასახული მიზნების თვალსაზრისით, მოსალოდნელია რომ მიღებული იქნება ზომები ბოლონიის პროცესში მიღწეული შედეგების ანალიზისათვის. შუალედური შეფასების პროცედურა რეალურად მიმდინარე პროცესების შესახებ სანდო ინფორმაციას მოგვაწვდის და საჭიროების შემთხვევაში შემოგვთავაზებს კორექტირების ღონისძიებებს.

მინისტრებმა სამუშაო ჯგუფს დაავალეს 2005 წლის სამიტისათვის მიღწეული შედეგების შეჯამების პროცესის ორგანიზება და დეტალური მოხსენებების მომზადება იმ შუალედური პრიორიტეტების პროგრესსა და განხორციელებაზე, რომელიც მომავალი ორი წლისათვისაა დასახული:

- ხარისხის უზრუნველყოფა
- ორსაფეხურიანი სისტემა
- აკადემიური ხარისხებისა და სწავლის ხანგრძლივობის აღიარება

გარდა ამისა, მონაწილე ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ აუცილებელი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, უმაღლესი განათლების კვლევისათვის ბოლონიის პროცესის მიზნებთან დაკავშირებულ საკითხებზე. მიმდინარე კვლევებისა და კვლევის შედეგების საინფორმაციო ბაზებზე ხელმისაწვდომობა უნდა იქნეს გამარტივებული.

შემდგომი ნაბიჯები

ახალი წევრები

მინისტრები აუცილებლად მიიჩნევენ პრაღის კომუნიკეს მუხლის ადაპტირებას გაწევრიანების შესახებ განაცხადზე შემდეგი სახით:
ევროპის კულტურული კონვენციის მონაწილე ქვეყნებს უფლება აქვთ გაწევრიანდნენ უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ამავე დროს გამოხატავენ სურვილს, რომ მიიღებენ და განახორციელებენ ბოლონიის პროცესის მიზნებს თავიანთი უმაღლესი განათლების სისტემებში. გასაწევრიანებელი ქვეყნების განაცხადები უნდა შეიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ დანერგავენ ისინი დეკლარაციის პრინციპებსა და მიზნებს.

მინისტრებმა გადაწყვიტეს, მიეღოთ ალბანეთის, ანდორის, ბოსნიის და ჰერცოგოვინის, წმინდა საყდარის, რუსეთის, სერბეთის, მონტენეგროს და "ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის" განაცხადი გაწევრიანების

შესახებ და მიესალმნენ ამ ქვეყნებს, როგორც ახალ წევრებს. ამრიგად, პროცესი 40 ევროპულ ქვეყნამდე გააფართოვდა.

მინისტრები აღიარებენ, რომ ბოლონიის პროცესში მონაწილეობის მიღება გულისხმობს არსებით ცვლილებას და რეფორმას ყოველი ხელის მომწერი ქვეყნისათვის. ისინი შეთანხმდნენ, ხელი შეუწყონ ახალ წევრებს ცვლილებებსა და რეფორმებში მათი დისკუსიებსა და ურთიერთდახმარების პროცესებში ჩართვით, რაც ბოლონიის პროცესით გათვალისწინებულია.

სტრუქტურა

მინისტრები კომუნიკეში შეტანილი ყოველი საკითხის განხილვას, ბოლონიის პროცესის წარმართვას და შემდეგ მინისტრთა კრების დაგეგმვას ანდობენ სამუშაო ჯგუფს, რომელიც უნდა შედგებოდეს ბოლონიის პროცესისა და ევროკომისიის ყველა წევრი ქვეყნის წარმომადგენლებისაგან. ხოლო ევროსაბჭო, ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია (EUA), უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ევროპული ასოციაცია (EURASHE), ევროპაში სტუდენტების ეროვნული კავშირები (ESIB) და გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO/CEPES) ისარგებლებენ მრჩევლის სტატუსით. წელიწადში ორჯერ ამ ჯგუფის შეხვედრას უნდა თავმჯდომარეობდეს იმ ქვეყნის წარმომადგენელი, რომელიც იმ დროისათვის თავმჯდომარეობს ევროკავშირში, რომელსაც მოადგილეობას გაუწევს შემდეგი კონფერენციის მასპინძელი ქვეყანა.

ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის წარმომადგენელის ხელმძღვანელობით შეიქმნება საბჭო, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს სამუშაო ჯგუფის საქმიანობას. ამ ჯგუფის შემადგენლობაში შევა თავმჯდომარე, მომავალი მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელი - როგორც მოადგილე, ევროკავშირის ყოფილი და მომავალი თავმჯდომარე ქვეყნის წარმომადგენლები, სამი მონაწილე ქვეყნის წარმომადგენელი, რომელთაც აირჩევს სამუშაო ჯგუფი ერთი წლით; ევროკომისიის წარმომადგენლები და როგორც მრჩეველი წევრები: ევროსაბჭო, ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია (EUA), უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ევროპული ასოციაცია (EURASHE) და ევროპაში სტუდენტების ეროვნული კავშირები (ESIB). სამუშაო ჯგუფს და საბჭოს, საჭიროებისამებრ შეუძლიათ მოიწვიონ სპეციალური მუშა ჯგუფები.

შედეგების შემსწავლელ შემდგომ საქმიანობას ხელს შეუწყობს სამდივნო, რომელიც შეიქმნება შემდეგი მინისტრთა კონფერენციის მასპინძელი ქვეყნის მიერ.

ბერლინის კონფერენციის შემდგომ გამართულ პირველ შეკრებაზე სამუშაო ჯგუფს მოეთხოვება განსაზღვროს საბჭოს პასუხისმგებლობა და სამდივნოს ამოცანები.

სამუშაო პროგრამა 2003-2005

მინისტრები სთხოვენ სამუშაო ჯგუფს, კოორდინაცია გაუწიოს სამუშაოებს ბოლონიის პროცესის წინსვლისათვის ისე, როგორც მითითებულია ამ კომუნიკეში და გააკეთოს ამის შესახებ ანგარიში მინისტრთა შემდგომ შეხვედრაზე 2005 წელს.

შემდეგი კონფერენცია

მინისტრების გადაწყვიტილებით შემდეგი კონფერენცია ჩატარდება 2005 წლის მაისში, ქალაქ ბერგენში (ნორვეგია).